48

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1376 2013 წლის 19 სექტემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №1120 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №1120 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების მოქმედი რედაქცია ჩაითვალოს განკარგულების პირველ პუნქტად;

ბ) განკარგულებას დაემატოს მე-2 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2.სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების სახელმწიფო შესყიდვა სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.“.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
№9799 „23“ 09 2013 წ.
ელ. ფოსტა

საქართველოს მთავრობის კანცელარია №1

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი